საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1019 2016 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს 2015 წელს წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის მიზნით გასატარებელი ღონისძიების შესახებ

1. აღიარებულ იქნეს დავალიანებად „2015 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 აგვისტოს №1736 განკარგულების შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ კახეთის რეგიონში მევენახეობის სფეროში დასაქმებული ზოგიერთი ფიზიკური პირისათვის გასაცემი 91209.25 ლარი (ოთხმოცდათერთმეტი ათას ორას ცხრა ლარი და ოცდახუთი თეთრი).

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ქვეპროგრამის - „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი: 37 03 05) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან, უზრუნველყოს 91209.25 ლარის (ოთხმოცდათერთმეტი ათას ორას ცხრა ლარი და ოცდახუთი თეთრი)

გადახდა კახეთის რეგიონში მევენახეობის სფეროში დასაქმებული ზოგიერთი ფიზიკური პირისათვის.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი